ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 50 კაპ.

# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 112 — სამშაბათი, 10 დეკემბერი, 1918 წ. — № 112

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

---

## ყოველ-კვირეული ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“

**მესამე ნომრიდან გამოვა გადიდებული ფორმატით და განახლებული რედაქციით.**

ჟურნალისთვის ყოველგვარი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბარონის (კალოუბნის) ქ. ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ რედაქცია—ჟურნალ „რესპუბლიკის ჯარისთვის“. ჟურნალის „რესპუბლიკის ჯარის“ სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, გარდა უქმეებისა, 1—3 საათამდე. ჟურნალის კანტორა ღიაა—10—3 საათამდე. 1143 3—1

---

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

სამშაბათს, დეკემბრის 10-ს ალეშკოს, მოროზოვას, კანშინის, ორდას და ისეცკის მონაწილეობით

### აიდა.

ოთხშაბათს, დეკემბრის 11-ს საბანეევას, ზალიპსკის, ნიკოლსკის მონაწილეობით გოფმანის ზღაპრები. დადგამს ორდა. ხუთშაბათს, დეკემბრის 12, წითელი ჯვარდის დღეს I პაიაცები, II საბანეევას და ორდას მონაწილეობით რიგოლეტო, III ბალეტი. შაბათს, დეკემბრის 14, ბ. ი. ზალოიპსკის სცენაზე მოღვაწეობის 10 წლის იუბილეი პიკის ქალი. კვირას, დეკემბრის 15, შვამბერგის, შულგინას, იანსას, კანშინის, პოლიაევისა და ისეცკის მონაწილეობით ნერონი.

ოპერის წარმომადგენელი ს. ევლახოვი.

---

მიწათ-მოქმედების სამინისტროს ყარაიაზის განყოფილების მოსამსახურენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დეკემბრის 10-ს, დილის 11 საათზე პეტრე-პავლეს ეკლესიიში (ნიკოლოზის ქ.) გადახდილი იქნება პანაშვიდი გარდაცვალებულ ამხანაგის

### ლადისლავ-იან გოგა-სალვინის

სულის მოსახსენებლათ.

1141 1—1

---

## მთელ საქართველოში 8 დეკემბერს

### მოეწყობა საჯარო გაყიდვა ლატარიის ბილეთებისა.

**შეიძინეთ ბილეთები და მით, პირად საქმესთან ერთად, დააყენეთ მკვიდრ ნიადაგზე ერის წინმსვლელობისათვის ესოდენ საჭირონი —უნივერსიტეტი და თეატრი.**

---

## სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობა

**აცხადებს, რომ საჭიროა სიღნაღის მაზრის საერობო სკოლების მეთვალყურე და სამაზრო გზების გამგე სპეციალისტი ტეხნიკოსი,**

რომელმაც სასურველია იცოდეს საამშენებლო ან წყლის საქმე. მსურველებმა თხოვნები სათანადო მოწმობებით უნდა გამოგზავნონ ქ. სიღნაღში, ერობის გამგეობის სახელობაზედ. თხოვნებში მოხსენებული უნდა იყოს curriculum vitae და თავისი პირობები ჯამაგირისა და სამსახურის შესახებ. 1127 2—2

---

## სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონით (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 85-5 ოქტომბრის 1918 წ.) განსაზღვრული სენაკის მაზრისათვის საჭირო

### მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა

მოხდება სენაკის სამაზრო საერობო კრების მიერ პირველ მორიგ ყრილობაზე. ვისაც სურს კენჭი იყაროს აღნიშნულ თანამდებობაზე შეუძლიანთ განცხადება გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: ახალ-სენაკი, სამაზრო ერობის გამგეობას.

1093 7—5

**სენაკის სამაზრო საერობო გამგეობა.**

---

## სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა

ამით აცხადებს, რომ სიღნაღის მაზრაში ასარჩევია

### მომრიგებელი მოსამართლენი

შემდეგს სამოსამართლო უბნებში: 1) სიღნაღის უბანი—ბინა ქალ. სიღნაღში, 2) მაჩხაანის უბანი—ბინა სოფ. ქვ.-მაჩხაანში, 3) შირაქის უბანი—ბინა სოფ. თუქურმიშიში (დედოფლის წყარო), 4) ალაზან გაღმა მხრის უბანი—ბინა ს. ვარდისუბანში (ყოფილი ვორონცოვკა), 5) გურჯაანის უბანი—ბინა ს. გურჯაანში, 6) ქოდალოს უბანი—ბინა სოფ. კაქრეთში. ჯამაგირი მომრიგებელ მოსამართლეთ გადიდებული აქვს ერობის მიერ. **უბნის მომრიგებელ მოსამართლეს მიეცემა თვეში 900 მან. ყრილობის თავმჯდომარეს თვეში—1000 მან.** მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები მოხდება სამაზრო ერობის დეკემბრის სესიაზედ. ვისაც სურს არჩეულ იქნეს მოსამართლედ განცხადება, დოკუმენტები და curriculum vitae უნდა გამოგზავნოს ერობის სახელზე: სიღნაღი, სამაზრო საერობო გამგეობას. 1095 5—4

---

## კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობა

აუწყებს ბ.ბ. აქციონერებს, რომ მორიგი საზოგადო კრება, რომლის განსახილველი საგნები გამოცხადებული იყო „საქართველოს რესპუბლიკის“ ნოემბრის №№ 103, 104 და 105, შესდგება კვირას 29 დეკემბერს 1918 წ. დღის 2 საათზე გამგეობის სადგომში, ქ. ტფილისში, ელისაბედის ქუჩა № 73.

ამ კრებაზე დასასწრებლად აქციების ან მათ მაგიერ სახელმწიფო ბანკის და სხვა კერძო საკრედიტო დაწესებულებების მოწმობებს, რომ ამ მოწმობებში აღნიშნულ ნომრების აქციები მათ აქვთ შესანახავად ან გირაოდ და არ იქნებიან გაცემულნი მორიგი კრების მეორე დღემდე, გამგეობა მიიღებს ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილის 11 საათ. დღის 2 საათამდე, ზემოაღნიშნულ მისამართით. უკანასკნელი ვადა აქციების და მოწმობის წარმოდგენისა წესების § 43 თანხმად შესრულდება შაბათს 14 დეკემბერს 1918 წ. დღის 2 საათ.

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ საბჭოს სარეკომენდაციო კომისიის დადგენილების თანახმად მომრიგებელ მოსამართლეთა კანდიდატებმა უნდა შემოიტანონ განცხადება ქვეშევრდომლობისა საქართველოს რესპუბლიკისა და სთხოვს იმ პირთ, რომელთაც სურთ მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე კენჭი იყარონ, შემოიტანონ ზემოხსენებული განცხადება ქალაქის გამგეობაში არა უგვიანეს 14-ს ამ თვისა. 1145 1—2.

---

## სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მაზრაში წვრილი საერობო ერთეულების არჩევნების დღედ დანიშნულია 3 იანვარი 1919 წ. (ძველი სტილით). საერობო ერთეულებად მიღებულია არსებული სასოფლო საზოგადოებები. პარტიების თუ ჯგუფებისაგან ხმოსნების კანდიდატთა სიებს საზოგადოებათა საარჩევნო კომისიები მიიღებენ 2 იანვრამდე 1919 წ. (ძველი სტილით).

თავმჯდომარის მოადგილე გრ. ცეკვაშვილი. 1142 3—1

---

## იყიდება

სასადილო „შიკ“ სასადილო

ლოტკინის ქუჩა, № 18 (ნახალოვკა). 1140 1-1

---

## ოფიციალური განყოფილება

## სავალდებულო დადგენილება

**ქ. ტფილისის და მის მიდამოების გენერალ-გუბერნატორის თანახმად გამოცემული წესდებისა იმ ადგილებზე, სადაც გამოცხადებულია სამხ. წესები.**

რადგანაც ჩემდამი რწმუნებულ საგენერალ-გუბერნატოროში ამ უკანასკნელ დროს ცხოვრება შედარებით მშვიდობიანად მიმდინარეობს, ამისათვის საჭიროდ ვსცანი, რომ პირველი მუხლი წარსულ ნოემბრის 17 სავალდებულო დადგენილებისა, შევსცვალო და იმის ნაცვლად ვაცხადებ, რომ ღამით ქუჩებზე მოძრაობა შეიძლება შუაღამის პირველ საათამდე, რის შემდეგ კი ვიდრე დილის $5^1/_2$ საათამდე ნებადაურთველად ქუჩებში ყოველგვარი მოძრაობა აღკრძალულია.

გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-მაიორი მაზნიაშვილი.

7 დეკემბერი, 1918 წ. ქ. ტფილისი.

## განკარგულებანი

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა.**

3 დეკემბერი, 1918 წ.

1. განთავისუფლებულნი არიან თანამდებობისა და სრულიად სამსახურისაგან:

1. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირადი მდივანი გრიგოლ ჩოჩია—ამა დეკემბრის 3-დან.

2. საქართველოს პარლამენტის კვესტორის უმცროსი თანაშემწე—შალვა კანდელაკი—ამა დეკემბრის 3-დან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

**ტფილისის ქალაქის მილიციისა.**

2 დეკემბერი, 1918 წ.

311.

§ 1.

სამსახურიდან დროებით განთავისუფლებული ეპიფანე იმნაიშვილი დაბრუნდა და თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

§ 2.

მე-3 უბ. უმცროსი მილიციონერი ნიკოლოზ ვასილის ძე პროკოფიევი დანიშნულია იმავე უბნის უფროს მილიციონერად დეკემბრის 1-დან.

§ 3.

მე-12 უბნის უფროსი მილიციონერი გე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეიშვილი დაინიშნა იმავე უბნის კომისრის თანაშემწედ დეკემბრის 1-დან.

§ 4.

1 უბ. უმცროსი მილიციონერი ვლადიმერ გუბელიძე დროებით გამოგზავნილია ჩემდამი რწმუნებულ სამმართველოში სამუშაოდ, დეკემბრის 1-დან.

§ 5.

1 უბ. კომისარი რუბენ გეორგაძე 7 დღით თავისუფლდება სამსახურიდან.

§ 6.

მილიციონერთა სიიდან გამორიცხულია განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე გიორგი მირზაშვილი, რომელიც დაინიშნა ცეცხლის ჩამქრობ რაზმის უფროსად დეკემბრის 1-დან.

§ 7.

1 უბ. კომისრის გეორგაძის დროებით სამსახურიდან განთავისუფლების გამო, მისი თანამდებობის ასრულება ევალება მის თანაშემწეს მაჭავარიანს, უკანასკნელის თანამდებობის ასრულება კი ევალება იმავე უბნის უფროს მილიციონერს საყვარელიძეს.

§ 8.

ვლადიმერ გიორგის ძე ჯანუაშვილი ირიცხება მეორე უბნის უმცროს მილიციონერად დეკემბრის 1-დან.

§ 9.

მე-10 უბ. უმცროსი მილიციონერი გიორგი სიმონია 8 დღით თავისუფლდება სამსახურიდან.

§ 10.

მე-3 უბნის უმცროსი მილიციონერი სერგი თარხანოვი, რომელიც უფროსი მილიციონერის თანამდებობას ასრულებდა, დანიშნულია მე-5 უბ. უფროს მილიციონერად დეკემბრის 1-დან.

§ 11.

აკაკი ალექსის ძე მარგველაშვილი დაინიშნა მე-7 უბნის უფროს მილიციონერად ამ რიცხვიდან.

§ 12.

ვახტანგ არსენის ძე ფხალაძე დაინიშნა 1 უბნის უმცროს მილიციონერად ამ რიცხვიდან.

§ 13.

მეორე უბნის უმცროსი მილიციონერი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც დროებით თავისუფალი იყო სამსახურიდან, დაბრუნდა და თანამდებობის ასრულებას შეუდგა 29 ნოემბრიდან.

§ 14.

მე-5 უბნის მსახური მიტროხინა სამსახურიდან განთავისუფლდა 7 დღით დეკემბრის 3-დან.

§ 15.

მე-3 უბნის უმცროსი მილიციონერი ნიკიფორე ოსულჩუკი 27 ნოემბრიდან ავადმყოფად ითვლება.

§ 16.

მე-10 უბნის უმცროსი მილიციონერი რუბენ ჩანიშვილ 6 დღით გათავისუფლდა სამსახურიდან.

§ 17.

მე-4 უბ. უმცროსი მილიციონერი მელხისიდექ შავდია 7 დღით განთავისუფლდა სამსახურიდან.

§ 18.

სამსახურში გამოუცხადებლობის გამო, სამსახურიდან სრულიად დათხოვნილი არიან უმცროსი მილიციონერი: 1 უბნის ილია პაიჭაძე და მალაქია ვაშალომიძე ნოემბრის 28-დან. მე-6 უბნის გიორგი თუხარელი, ელიზბარ მამცემლიძე, ილარიონ ჭავლიშვილი და პანტელეიმონ ჭანტურია ნოემბრის 26-დან.

§ 19.

წინადადებას ვაძლევ კომისრებს, რათა მათ შეაგნებინონ ყარაულ მილიციონერებს, ყურადღება მიაქციონ ქუჩის ფანრებს, რომლებსაც ბოროტ-გამზრახველები იპარავენ. ყველა იმ პირთ, რომლებიც ფანრებს ასწორებენ, უნდა მოსთხოვონ მოწმობა, რომ ისინი ელექტრონის სადგურიდან არიან გამოგზავნილი.

ვისაც ასეთი მოწმობა არ აღმოაჩნდება დაატუსაღონ და წარმოადგინონ ჩემდამი რწმუნებულ სამმართველოში.

მილიციის უფროსის თანამდებობის ამსრულებელი ა. უ რ უ შ ა ძ ე.

### შ ე ს წ ო რ ე ბ ა.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" მე-106 №-ში (1918 წ. დეკემბრის 1) გამოქვეყნებულ —სახაზინო პალატების გაუქმებისა და გადასახადის და სახელმწიფოს ხაზინის სამმართველოს დაარსების კანონში შემდეგი თვალსაჩინო კორექტორული შეცდომაა:

მე-III განყ. მე-5 მუხლის უკანასკნელ სტრიქონში—დაბეჭდილია: 1460-8; უნდა იყოს: $1460^{8}$.

—

იქვე დაბეჭდილია: 1460-12; უნდა იყოს: $1460^{12}$.

—

იმავე ნომერში გამოქვეყნებულ პირველდაწყებითი სკოლების ხარჯთ-აღრიცხვაში შემდეგი შეცდომაა:

საერთო ჯამის მე-3 სვეტში დაბეჭდილია: 263320; უნდა იყოს: 253.320.

—

ამავე გაზეთის მე-108 №-ში (1918 წ. დეკემბრის 4) გამოქვეყნებულ გადასახადის აკრეფის კანონში შემდეგი კორექტორული შეცდომაა:

მე-8 მუხლის მეორე სტრიქონში დაბეჭდილია: „ყოველდღიურად", უნდა იყოს: „ყოველთვიურად".

—

ამავე №-ში გამოქვეყნებულს სააქციზო უწყების ორგანიზაციის კანონში შემდეგი კორექტორული შეცდომაა:

მე-9 მუხლის პირველ სტრიქონში დაბეჭდილია: „უფროსს". უნდა იყოს „უფროსის".

—

იმავე კანონთან დართულ სააქციზო სამმართველოს შტატში შემდეგი თვალსაჩინო კორექტორული შეცდომაა:

მე-5 მუხლის (მდივანი) გასწვრივ მეორე სვეტში დაბეჭდილია: 4800. უნდა იყოს:—„8400".

—

ამავე ნომერში გამოქვეყნებულ გადასახადთა აკრეფის კანონის ბოლოს დაბეჭდილია 1918 წ. ნოემბერი. უნდა იყოს: „1918 წ. ნოემბრის 26".

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში.

### აქციზი ღვინოზე.

მიღებულ იქმნას კანონ-პროექტი ღვინოზე აქციზის დაწესებისათვის.

### გვარდიის დღე.

სახალხო გვარდიის პირველი საკეთილდღეო გამოსვლის აღსანიშნავათ იმ ძალთა წინააღმდეგ, რომელნიც ლამობდნენ ანარქიაში გაეხვიათ ჩვენი ქვეყანა, რომელსაც შედეგათ მოჰყვა 1917 წელს დეკემბრის 12-ს გვარდიის მიერ არსენალის დაპყრობა და მით საძირკველი ჩაეყარა დემოკრატიულ რესპუბლიკას აღიარებულ იქმნას 12 დეკემბერი სახალხო გვარდიის დღე-უქმე დღეთ საქართველოს რესპუბლიკაში.

### აფხაზეთის არჩევნების გამო.

იურიდიულ კომისიის მთავრობის იურისკონსულტის მონაწილეობით აფხაზეთის სახალხო საქმის არჩევნების დებულების პროექტის განხილვა მიენდოს სახელმწიფო უფლების მხრივ, რათა იურიდიული მხარეები ამ საკითხისა ნათლად მოხსენდეს მთავრობას.

### დახმარება

ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქთან არსებულ გენერატორულ სადგურისათვის სარეზერვო აგრეგატის შესანახად 100,000 მან. გადაიდოს.

# შინაგან საქმეთა სამინისტროში

### ნაშთების დაცვა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარემ ე. ს. თაყაიშვილმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ერთი უძველესი საისტორიო ნაშთები დავით გარეჯის მონასტერი და იოანე ნათლისმცემლის უდაბნო ტფილისის მაზრაში, ფრიად უნუგეშო მდგომარეობაში არიან და ყაჩაღ-მძარცველთაგან აკლებულნი, განსაკუთრებით მწყემს თათართა ჩობანთაგან. ვინაიდან ამ მონასტრებს ფიზიკური ძალა არა აქვთ დასაცავად, სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა უბოძოს განკარგულება სათანადო დაწესებულებას, რომ თითო მონასტერში დანიშნულ იქმნეს ოთხ-ოთხი შეიარაღებული დარაჯი მაინც.

# გზათა სამინისტროში.

### ნავთეულობის შესახებ კომისიის გაგზავნა.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ გზათა სამინისტროსაგან ცნობა მიიღო, რომ ადერბეიჯანში შემდგარ ნავთეულობის შესახებ ხელშეკრულობის დამდებ კომისიაში მოსალაპარაკებლათ გზათა სამინისტროსაგან იგზავნება გზათა სამინისტროს საერთო საქმეთა მმართველი ბ-ნ ფიცხელაურის თავმჯდომარეობით საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან ინჟ. გ. ა. ოგანეზოვი და გ. ნ. ჩერქეზიშვილი.

# იუსტიციის სამინისტროში

### ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის და პროკურორის ჩამოსვლა.

ჩამოვიდნენ ტფილისში სამსახურის საქმეებისა გამო ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ნ. მ. ქიქოძე და ამავ სასამართლოს პროკურორი ა. პ. გელაზაროვი.

### იუსტიციის მინისტრის მდივანი.

იუსტიციის მინისტრის მდივნათ დაინიშნა ივ. ვ. ყიფიანი.

### ახალი კრედიტები.

იუსტიციის მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე 50.000 მან. კრედიტის გახსნის შესახებ სხვა და სხვა სახელმძღვანელოების და კანონთა კრებულების საბეჭდავათ და 3.000 მან. კრედიტისა გამომძიებელთა ერთის თვის კურსების მოსაწყობად.

### განქორწინების პროექტი.

განქორწინების პროექტი განხილული საუწყებათაშორისო კომისიის მიერ, წარედგინა მთავრობას.

### ახალი განწესებანი.

თანახმად იუსტიციის სამინისტროს მიწერილობისა, ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ და პროკურორმა წარმოუდგინეს სამინისტროს კანდიდატთა სია ბრალმდებელის ამხანაგების სასამართლოს გამომძიებელთა თანამდებობაზე. ხსენებულ სასამართლოს სათანადო განწესებანი ამ დღეებში გადასწყდება სამინისტროში.

### სასამართლოს წესის გარეშე დატუსაღებულთა საქმეების გამომძიებელ კომისიაში.

სასამართლოს წესის გარეშე დატუსაღებულთა საქმეების გამოსარკვევად დანიშნულ საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარემ წარუდგინა იუსტიციის მინისტრს დაწვრილებითი მოხსენება კომისიის საქმიანობის შესახებ.

### ტფილისის უფროსის თანამდებობიდან განთავისუფლება.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან ტფილისის № 1 საგუბერნიო საპყრობილეს (ორთაჭალაში) უფროსი უშვერიძე. ამავე თანამდებობის აღსრულება დაევალა დროებით გორის საპყრობილეს უფროსს ის. კალანდარიშვილს.

### სასამართლო დაწესებულებანი მესხეთ-ჯავახეთში.

ახალციხე-ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორმა გენ. მაყაშვილმა დეპეშით სთხოვა იუსტიციის მისტრს განკარგულების მოხდენა იმის შესახებ, რომ ხსენებულ მაზრებში, მათ ჩვენის ჯარების დაჭერისთანავე, აღდგენილ იქმნას სასამართლო დაწესებულებათა მოქმედება.

### სასამართლო და ადმინისტრაცია.

იუსტიციის მინისტრის შეკითხვაზე, სასამართლო დაწესებულებათ ცნობები გამოგზავნეს იმის დასახასიათებლად, თუ რამდენად აფერხებს სასამართლოს საქმიანობას ადმინისტრაციის ჯეროვნად მოუწყობლობა. ყველა მოხსენებაში აღნიშნულია, რომ უმთავრესი მიზეზი საქმეების გადადებისა არის უწყების ჩაუბარებლობა. ტფილისის ოლქის სასამართლოში 660 საქმე გადადებულია ამ წლის განმავლობაში ხსენებულ მიზეზისა გამო, ქუთაისის ოლქის სასამართლოში ოქტომბრის და ნოემბრის განმავლობაში 142 საქმე გადუდვიათ.

### ძეგვის ხიდი.

ძეგვის ხიდის აფეთქების საქმის გამოძიება დასრულდა და გადაეცა საგანგებო სასამართლოს. საქმე გაირჩევა დეკემბრის შუა რიცხვებში.

### სასამართლო უწყების მოხელეთა შტატები.

სასამართლო უწყების მოხელეთა ახალი შტატები განიხილა დეკემბრის 5-ს შრომის სამინისტროსთან დაარსებულმა საგანგებო კომისიამ. შტატები მცირეოდნის შესწორებით მოწონებულ იქმნა კომისიის მიერ და წარედგინა მთავრობას.

### საპყრობილეთა ინსპექცია.

საპყრობილეთა ინსპექცია სასამართლო უწყების დაწესებულებათა შენობაში გადავიდა.

### დუშეთის საპყრობილეს შეკეთება.

იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა საპყრობილეთა ინსპექციას, რათა სასწრაფო ზომები იქმნას მიღებული დუშეთის საპყრობილეს შესაკეთებლად, მანამდე—კი ყველა მძიმე დანაშაულის ჩამდენნი გადმოყვანილ იქმნან ტფილის საპყრობილეებში.

### იუსტიციის სამინისტროს კანცელარიაში.

იუსტიციის სამინისტროს კანცელარიაში ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე. გარდა კვირა—უქმისა, მხოლოდ დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე.

# სახალხო გვარდიის დღე

12 დეკემბერს ტფილიში და აგრეთვე საქართველოს ყველა ქალაქებში შესდგება დიდი დღესასწაული. სახალხო გვარდია დღესასწაულობს თავის ერთი წლის მოქმედებას. უკვე ორი თვეა, შესდგა სპეციალური ბიურო, რომელმაც შეიმუშავა დღის პროგრამა.

დღესასწაული დაიწყება დილიდან. გვარდია ჯართან ეროად გამოვა პარადზე მთავრობის წინამძღოლობით. პარადის შემდეგ სახალხო გვარდიის რაზმი შემოივლის ქალაქს მუსიკით და ეროვნული სიმღერით. პროცესიაში მონაწილეობას მიიღებს საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები მოწაფეებით და მათი მომღერალთა გუნდით. სახალხო გვარდიის მთავარი ხელმძღვანელები და სხვა და სხვა სოციალისტების პარტიის წარმომადგენლები გამართავენ მიტინგებს. დიდი მიტინგი გამართული იქნება რკინის გზის მთავარ სახელოსნოში. ამ დროს მთელს ქალაქში იწარმოებს ყულაბებით ფულის მოკრება და აგრეთვე გვარდიელების ლაშქრობის დროს გადაღებული სურათები და ღია-წერილები.

საღამოს სახელმწიფო თეატრში გვარდიის სადღესასწაულოთ გაიმართება სპექტაკლი.

ასეთივე სპექტაკლები და საღამოები გამართული იქნება ყველა ტფილისის საკრებულებში. ზოგიერთ ადგილებში წაიკითხება ლექციები.

რადგან ზოგიერთ საკრებულოებში დადგმული იქნება კაბარე აუქციონებით,—ამიტომ სიარული და საერთო მოძრაობა ქალაქში ნება დართულია დილამდის. ტრამვაების ვაგონების რაოდენობა გამრავლებული იქნება. სახალხო გვარდიის დღეს იდღესასწაულებენ როგორც სხვა ქალაქებში, ისე ყველა საქართველოს კუთხეებში.

მთელი ფული შემოსავლის, წმინდა შემოსავალი გადადებულ იქნება დაჭრილ-დასახიჩრებულ სახალხო გვარდიელების და მათი ლაზარეთების სასარგებლოთ.

# მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანიასთან.

7 დეკემბერს მუშათა დეპ. საბჭოს თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია ინახულა გერმანიის ჯარისკაცთა საბჭოს მთელმა პრეზიდიუმმა და გერმანელ ჯარისკაცთა სახელით მადლობა გადასცა ქართველი ხალხის მათდამი მეგობრულ დამოკიდებულობაზე და იმ რეზოლიუციის გამო, რომელიც მუშათა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მიიღეს გერმანიის რევოლიუციაზე. პრეზიდიუმმა გამოსთქვა იმედი, რომ ის კავშირი, რომელიც აქ დამყარდა ქართველ ხალხსა და გერმანელ ჯარისკაცთა შორის, მომავალშიც დაურღვეველი იქნება. ნ. ნ. ჟორდანიას საპასუხო სიტყვის შემდეგ პრეზიდიუმმა სთხოვა მადლობა გადაეცა მუშ. საბჭოსთვის, გამოეთხოვა და განაცხადა, რომ გერმანიის უკანასკნელი ჯარი გემ. „გენერალით" 13 დეკემბერს გავა ფოთიდან.

# კატასტროფა მოლითში

გზათა მინისტრმა შემდეგი ტელეფონოგრამა გაუგზავნა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას და პირი საგარეო საქმეთა მინისტრს.

ამა წლის ქრისტიშობისთვის 7 ნაშუადღევის 2 ს. და 30 წამზე გაგზავნილ იყო ორი ორთქლმავლიანი ოსმალთა სანიტარული მატარებელი № 4005, 23 ვაგონის შემადგენლობით. წინა ტენდერიანმა პირველმა ორთქლმავალმა, რომელმაც გააძლიერა სად. წიფიდან სვლის სისწრაფე 80 ვერსამდე, სად. მოლითის შესავალში, საფარ ჩიხტთან *) მემანქანის ძლიერი უკუ ორთქლის მიცემით, დაიმსხვრა ერთი ორთქლ-მავალი და 15 ვაგონი, ორთქლმავლის მაზუთის სარწყულის აფეთქებით დაიწვა ერთი ოთქლ-მავალი და დაზარალდა 7 ვაგონი. დახოცილია 120 კაცი, დაჭრილია 130, სუყველა ოსმალები.

ზემოხსენებულის დამატებათ მოგახსენებთ, რომ მთელი შემადგენლობა, როგორც მატარებლისა, აგრეთვე ორთქლმავლისა შესდგებოდა მხოლოდ ოსმალთაგან. მატარებლის შედგენის დროს დაცული არ ყოფილა ექსპლოატაციის ელემენტარული წესები, რის

*) Предохранительный тупикъ.

შესახებაც არა ერთხელ გაგვიფრთხილებია, როგორც ოსმალთა სამხედრო მართველობა, აგრეთვე ადერბეიჯანის რესპუბლიკის გზათა წარმომადგენელი. სანიტარულ მატარებლით ოსმალთ მიჰქონდათ ასაფეთქებელი ნივთიერებანი, რაც მტკიცდება იმ გარემოებით, რომ უბედურების დროს სისტემატიურათ გაისმოდა აფეთქების ხმები, მაშინ, როდესაც ექსპლოატაციის წესების მიხედვით სახალხო მატარებლით სასტიკათ აღკრძალულია ასაფეთქებელ ნივთიერების გადაზიდვა. მთელი ბრალი ედება და სრული პასუხისმგებელია ოსმალთა მოხელენი, რომლებიც არავითარ ანგარიშს არ უწევენ მატარებელთა უხიფათო მოძრაობისათვის საჭირო გამაფრთხილებელ მოთხოვნას.

# მისალმება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის პარლამენტის და მთავრობის თავმჯდომარეთ: კახეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობა, რომელიც დღეს გაიხსნა ნავთლუღში, ბედნიერად სთვლის თავის თავს მოგესალმოს თქვენ, საქართველოს ტანჯულ წინამძღოლთ და გულმხურვალეთ მოგილოცოს დამოუკიდებელ საქართველოს ექვსი თვის დღესასწაული. კახეთის რკინის გზის დემოკრატია თქვენთან ერთად განუსაზღვრელ სიხარულს განიცდის დღეს და ფიცსა სდებს, რომ პირნათლად შეასრულოს ყოველივე, რასაც მას დემოკრატიის საკეთილდღეოდ დაავალებენ მისი ბელადნი. ყრილობა ღრმად დარწმუნებულია. რომ თქვენ აღჭურვილი საქართველოს ერის და განსაკუთრებით მათი დემოკრატიის სრული ნდობით, როგორც ბრძენი და გამოცდილი წინამძღოლნი, უტყუარის გზით წაიყვანთ საქართველოს დემოკრატიას აღთქმის ქვეყნისაკენ, რომელსაც ეწოდება სოციალიზმი. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს. გაუმარჯოს მის დემოკრატიზმს, გაუმარჯოთ საქართველოს დემოკრატიის წინამძღოლთ.

ყრილობის თავმჯდომარე სვ. ჯ უ ღ ე ლ ი.

# კანონ-პროექტები

### პროექტი კანონისა უქმე დღეების შესახებ.

შრომის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი.

მუხლი I.

საქართველოს რესპუბლიკაში უქმე დღეებად აღიარებულია ყველა კვირა დღეები და შემდეგი უქმეები ახალი თარიღით:

ა) საეკლესიო უქმეები:

1 და 2 დღე ქრისტეს შობისა 25 და 26 დეკემბრის მაგიერ—7 და 8 იანვარს,

ნათლის ღება—6 იანვ. მაგიერ 19 იანვ.

მირქმა უფლისა—2 თებერ. მაგიერ 15 თებ.

ხარება ყ-დ წმ. ღვთისმშ.—25 მარტის მაგიერ 7 აპრილს.

ფერისცვალება უფლისა—6 აგვისტ. მაგიერ 19 აგვისტოს.

მიძინება ყოვლად წმ. ღვთისმშობლ.—15 აგვისტ. მაგიერ 28 აგვისტოს.

შობა ყ-დ წმ. ღვთისმშ.—8 სექტ. მაგიერ 21 სექტემბ. ჯვართ-ამაღლ.—14 სექტ. მაგიერ 27 სექტ.

ტაძრად მიყვ. ყ-დ წმ. ღვთისმშ.—21 ნოემბრ. მაგიერ. 4 დეკემბერს.

პარასკევს და შაბათს ვნების კვირისა, ორშაბათი და სამშაბათი აღდგომის კვირისა. ამაღლება და დღე სულის წმიდის მოფენისა.

ბ) სამოქალაქო უქმეები:

ახალი წელი—1 იანვარს (ახალი თარიღით).

მუშათა ინტერნაციონალური უქმე—1 მაისი (ახალი თარიღით).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე—26 მაისი (ახალი თარიღით).

რუსეთის რევოლიუციის პირველი დღე—27 თებერვალი (ახალი თარიღით).

მუხლი 2.

უქმე დღეების ნუსხა, აღნიშნული სამრეწველო შრომის წესდების მე-198 მუხლში და ამიერ-კავკასიის კომისარიატის დეკემბრის მე-20 მუხლში 1917 წლის 29 ნოემბრის რვა საათის სამუშაო დღის შესახებ იცვლება უქმეების ნუსხით, რომელიც მოყვანილია ამ კანონის პირველ მუხლში.

მუხლი 3.

ეს კანონი შედის ძალაში იმ დღიდან, როცა ის მიღებულ იქნება საქართველოს პარლამენტის მიერ.

შრომის და სარწმუნოების კომისიების შეერთებულ სხდომის თავმჯდომარე.

### შრომის და სარწმუნოების კომისიების შეერთებულ სხდომაზე შესწორებული.

მუხ. 1.

საქართველოს რესპუბლიკაში უქმე დღეებად აღიარებულია ყველა კვირა დღეები და შემდეგი უქმეები ახალი თარიღით:

ა) საეკლესიო უქმეები:

1 და 2 დღე ქრისტეს შობისა 25 და 26 დეკემბრის მაგიერ 7 და 8 იანვარს.

ნათლის ღება 6 იანვ. მაგიერ 19 იანვარს.

მირქმა უფლისა 2 თებერ. მაგიერ 15 თებ.

ხარება ყ-დ წმ. ღვთისმშ. 25 მარტ. მაგიერ 7 აპრილს.

ფერისცვალება უფლისა 6 აგვისტოს მაგიერ 19 აგვისტოს.

მიძინება ყოვლად წმ. ღვთისმშობ. 15 აგვისტოს მაგიერ 28 აგვისტოს.

შობა ყ-დ წმ. ღვთისმშობლ. 8 სექტემბრის მაგიერ 21 სექტემბერს.

ჯვართ-ამაღლ. 14 სექტემბრის მაგიერ 27 სექტემბერს.

ტაძრად მიყვანა ყ-დ წმ. ღვთისმშობლ. 21 ნოემბრის მაგიერ 4 დეკემბერს.

პარასკევს და შაბათს ვნების კვირისა, ორშაბათი და სამშაბათი აღდგომის კვირისა, ამაღლება და დღე სულის წმიდის მოფენისა.

ბ) სამოქალაქო უქმეები:

ახალი წელი 1 იანვარს (ახალი თარიღით).

მუშათა ინტერნაციონალური უქმე 1 მაისი (ახალი თარიღით).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე—26 მაისი (ახალი სტილით).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დამქირავებლის და დაქირავებულის ურთიერთ შეთანხმებით შესაძლებელია უქმეები: 15 თებერვალი, 21 სექტემბერი და 4 დეკემბერი შეიცვალოს სხვა უქმე დღეებზე, რომელთაც ადგილობრივად დღესასწაულობენ.

მუხ. 2.

უქმე დღეების ნუსხა, აღნიშნული სამრეწველო შრომის წესდების მე-198 მუხლში და ამიერ-კავკასიის კომისარიატის დეკრეტის მე-20 მუხლში 1917 წლის 29 ნოემბრის 8 საათის სამუშაო დღის შესახებ იცვლება უქმეების ნუსხით, რომელიც მოყვანილია ამ კანონის პირველ მუხლში.

მუხ. 3.

ეს კანონი შედის ძალაში იმ დღიდან, როცა ის მიღებული იქნება საქართველოს პარლამენტის მიერ.

შრომის მინისტრის მაგიერ მისი ამხანაგი გ. ე რ ა ძ ე.

### დღესასწაულების უქმობის კანონ-პროექტის წერილობითი ახსნა.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი ყოფილი რუსეთის სახელმწიფო კანონებით უქმე დღეების შესახებ საკითხი ვრცლათ არის შემუშავებული (კანონთა კრებულის სხვა და სხვა ტომებში). შესაფერი შესწორებანი შეცვლილი პოლიტიკური პირობების თანახმად, როგორიცაა მაგალითად, მეფის გვარეულობის დღესასწაულების გამორიცხვა და მუშათა დღესასწაულების მიმატება, შეცვლილი იყო რევოლიუციონურ პერიოდის კანონ-მდებლობითი წესით (დეკრეტი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ).

წარმოდგენილი კანონ-პროექტი იმიტომ მიზნათ არ ისახავს საკითხის პრინციპიალურათ გადასინჯვას დღესასწაულების შესახებ (ამა თუ იმ დღის დღესასწაულობის აღცილებლობა, რომელიმე საეკლესიო დღესასწაულის აღიარებას და სხვა). არამედ ის შეიცავს წმიდა პრაქტიკულ მიზანს. რესპუბლიკაში გრიგორიანის კალენდარის შემოღებულ თანახმათ უქმე დღეების შეთანხმებას იულიანის კალენდარით წელთა აღრიცხვის თანახმად არსებულ უქმეებთან. მხოლოდ ის ცვლილებაა შეტანილი ამ მხრით, რომ ჩამატებულია ერთი ახალი დღესასწაული 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე.

ახალი სტილი (წელთა აღრიცხვა) შემოღებულ იქნა ამიერ კავკასიაში სეიმის მიერ 13—26 აპრილს. მიღებული კანონის თანახმად ამ სტილის შემოღების სასარგებლოდ, როგორსაც ვიცით, მოჰყავს შემდეგი მოსაზრებანი:

1. დროთა გამოანგარიშების მეტი სისწორე. ამ ჟამად იულიანის კალენდარი ნამდვილ სწორ კალენდარს ჩამორჩენილია 13 დღე და ღამით, მაშინ, როცა გრიგორიანის კალენდარი, ჩამორჩენილია ერთი დღე ღამით.

2. ახალი სტილის შემოღება რუსეთში. ახალი სტილი შემოღებულ იქნა რუსეთში 1918 წლის 1 თებერვლიდან, ამის შემდეგ საქართველოში ძველი სტილის დატოვება აუცილებელ უხერხულობას შექმნიდა, როგორც სახელმწიფოსთვის ისე კერძო მოქალაქეთათვის და განსაკუთრებით სავაჭრო დამოუკიდებლობის საქმეში იმ ეკონომიურ და კომერციულ კავშირის გამო, რაც დიდი ხანია დამყარებულია რუსეთსა და ამიერ კავკასიისშორისო სარკინიგზო და სახოფლო კავშირზედაც რომ არ ვილაპარაკოთ.

3. დაახლოვება ევროპასთან. გრიგორიანის კალენდრის შემოღება ამიერ-კავკასიაში, რომელიც საერთოდ მიღებულია დასავლეთ ევროპაში, ეჭვს გარეშეა ამიერ-კავკასიის დროთ ანგარიშის მხრივ დააკავშირებს ცივილიზაციის მქონე ქვეყნიერებას და საერთაშორისო დამოკიდებულებას საქმეში შექმნის იმ მოხერხებულ პირობებს, რაიც აუცილებელი პირობაა მათი წარმატების საქმეში. ახალი სტილის შემოღებამ სავსებით გაამართლა ზემო მოყვანილი აზრი, მას არ გამოუწვევია არავითარი ეჭვი და გაუგებრობა სამოქალაქო ცხოვრებაში. მაგრამ საეკლესიო ცხოვრებაში და კერძოთ კი საეკლესიო უქმეების ცხოვრებაში გატარებამ უმტკივნეულოდ ვერ ჩატარდა, ვინაიდან ახალ კალენდარს ეკლესია არ ეთანხმებოდა.

ქრისტიანულ ეკლესიაში კალენდარის სარგებლობის საკითხში ორი მიმდინარეობა არსებობს: რომის კათოლიკეთა ეკლესია ანგარიშობს დროს გრიგორიანის კალენდრით,—მართლმადიდებელი ეკლესია—იულიანისა. ყოველიცდა, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას მიეღო გრიგორიანის კალენდარი, უნაყოფო გამოდგა იმის გამო, რომ იულიანეს კალენდარი არ ეთანხმება მართლმადიდებელთა ეკლესიისათვის ნიკეის მსოფლიო კრებულის სავალდებულო დადგენილებას (325 წ.), რომელიც ეხება აღდგომის დღესასწაულს.

ეს დადგენილებანი შემდეგს შეიცავს:

1. მართლმადიდებელთა წმ. პასექის დღესასწაული არ უნდა მოხდეს ებრაელების დღესასწაულ პასექთან ერთად. და უნდა შეხვდეს ეს დღესასწაული ებრაელების პასექს ადრე კი არა, არამედ გვიან.

2. წმ. პასექი მოდის პირველ კვირას საპასექო მთვარის შევსებისას.

3. საგაზაფხულო დღე-ღამის გათანასწორების შემდეგ საპასექო სავსე მთვარე ეწოდება პირველ სავსე მთვარეს. ამ მთვარეს ცნობილი წესების თანახმათ ანგარიშობენ.

4. საგაზაფხულო დღე-ღამის გათანასწორება უნდა მიდიოდეს 21 მარტისთვის, როგორც ეს მოხდა ქრისტეს დაბადების წელს, სინამდვილეში კი მოდიოდა 23 მარტისთვის; ამჟამათ მოდის იულიანეს კალენდრის ანგარიშით 9 მარტისთვის. ის ქრისტიანი ერები რომელთაც გრიგორიანის კალენდარი მიიღეს, წმ. პასექს იდღესასწაულებენ ამ დადგენილებასთან შეთანხმებულათ, რითაც ეწინააღმდეგებიან მსოფლიო კრებების დადგენილებას, მართლმადიდებელთა ეკლესია სისწორით იცავს ნიკეის კრებულის დადგენილებას, რის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო კრებულის დადგენილებით.

მსოფლიო პატრიარქის ამგვარ მოსაზრებას გრიგორიანთა კალენდარის მიუღებლობის შესახებ იზიარებს საქართველოს კათალიკოსიც. მისი აზრით, ვიდრე მართლ-მადიდებელთა ეკლესიისთვის საერთოდ არ გადაჭრილა ეს საკითხი, და რომ აცილებულ იქნას მართლმადიდებელ ქრისტიანთა საეკლესიო ცხოვრებაში არევ-დარევა, ახალი სტილის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სამოქალაქო წელთა აღრიცხვის დროს, რისთვისაც საეკლესიო დღესასწაულების დღეებს ახალი სტილის თანახმათ სახელი შეეცვლება. ამასთანავე დაბრკოლება არ იქნება იმის გამო, რომ ახალი წლის დღესასწაული არა უფროს აღკვეთის ან დიდი ვასილის დღეს, არამედ წმ. მოწამის ბონფანტეს ხსოვნის დღეს, ძველი სტილით 19 დეკემ. ასე რომ ეკლესია თანახმაა ახალი სტილით დღესასწაული მიიღოს ე. ი. 13 დღით ადრე, ვიდრე იულიანეს კალენდრითა, მხოლოდ ახალი წელი, რომელიც არსებითად სამოქალაქო დღესასწაულია. ყველა საეკლესიო უქმეები უნდა იდღესასწაულონ ძველი სტილით, მაგრამ ახალი სტილით რიცხვითი ნუმერაცია სახელ გამოცვლილი უნდა იქნეს ახალი სტილის თანახმათ მაგ. პასექი 1918 წლის ძველის სტილის 22 აპრილს, დღესასწაულათ, ახალი სტილით 5 მაისს ე. ი. იმავე დღეს, მაგრამ რიცხვის დათვლაში ნუმერაცია გადიდებული იქმნა 13 დღით. ამ სახით გასწორებული იქნება იულიანეს კალენდარის შეცდომა, რაიც დაგროვდა ნიკეის კრებულის შემდეგ და აღდგენილი იქნება უძრავ უქმეების დღესასწაულების სისწორე, რომლებიც დაკავშირებულნი არიან კალენდართა განსაზღვრულ თარიღთან (მაგალითად შობა ქრისტესი 25 დეკებს).

ამისათვის მთავრობა ფიქრობდა მოძრავ უქმეების დაწესება მიენდო ეკლესიისათვის ე. ი. ძველი სტილით რიცხვის შესაფერისად გადაცვლის 13 დღით წინ თანახმათ ახალი სტილისა.

უძრავ უქმეებს კი უქმათ ახალი სტილით ე. ი. რიცხვით 13 დღით უკან დაუწევლათ. ასეთი უქმეები იქნება ძველ სტილთან შედარებით 13 დღით ადრე.

მიუხედავათ ამისა საკათალიკოსო საბჭომ ვერ სცნო შესაძლებლათ დასთანხმებოდა მთავრობის აზრს მოძრავი უქმეების შესახებ; 1918 წლის 18 აგვისტოს მოწერილობით № 256 საქართველოს საბჭომ აღნიშნა, რომ მოძრავ დღესასწაულების 13 დღით წინწაწევას გავლენა აქვს უძრავ უქმეებზე და საეკლესიო მარხვებზე მაგ. ეკლესიის წესების თანახმად პეტრე-პავლობის მარხვა იწყება ერთი კვირის გახსნისას სული-წმიდის მოფენიდან და თავდება 28 ივნისს. მდგომარე წელს ხსენებული დღესასწაული მოხდა ახალი სტილით 23 ივნისს, ალების ღამე 30 ივნისს და მარხვის დასაწყისი კი პირველ ივლისს, ე. ი. მაშინ, ბუნებრივათ მაშინ, როცა ბუნებრივათ თავდება პეტრე-პავლობის მარხვა, რის გამო ტფილისში არსებული მართლ-მადიდებელთა ყველა ეკლესიები: ქართული, რუსული, ბერძნული და უკრაინული მსოფლიო ეკლესიასთან უთანხმოების ასაცილებლათ (რაც უეჭველად მოხდებოდა მარხვა, რომ მოგვეხსნა). მოციქულთა მარხვა დავიცავით 1—2 ივლისამდე ახალი სტილით. პეტრე-პავლობის უქმე კი ვიდღესასწაულეთ 12 ივლისის ე. ი. 13 დღით გვიან. ეკლესიისა და მთავრობის შეუთანხმებლობამ ამ საკითხში ცხოვრებაში ერთგვარი არევდარევა შექმნა. მაგ. შრომის სამინისტრომ მთავრობის მოსაზრების თანახმათ განაცხადა, რომ უძრავი უქმეები, რომლებიც ჩამოთვლილია დღესასწაულთა აღწერაში, როცა მუშაობა აღკვეთილია, უნდა იუქმონ ახალი სტილით, (ე. ი. ძველ სტილთან შედარებით 13 დღით ადრე) ეკლესია კი თვისი აზრის დარჩა, უძრავ დღესასწაულებს იხდიდა ძველი სტილით. ამის თანახმად მართლმადიდებელნი უქმობდნენ ძველი სტილით, სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებები არ მუშაობდნენ ზოგი ძველი სტილით, ზოგი ახალით.

ამ საკითხის მოსაწესრიგებლად მთავრობის დადგენილებით შესდგა თათბირი ქრისტიანული ეკლესიის, შრომის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროთა წარმომადგენლებისაგან.

თათბირი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ვიდრე მართლ-მადიდებელთა ეკლესია მსოფლიო კრებულზე არ შეცვლის თავის დამოკიდებულებას გრიგორიანთა კალენდრისადმი, ყველა უქმეები, როგორც უძრავი ისე მოძრავი უნდა იდღესასწაულონ ძველი სტილით, რაც უნდა მოხდეს ამ უქმეების რიცხვთა ნუმერაციის ახალ სტილთან შეუფარდებით.

თათბირს და შრომის სამინისტროს ამ შემთხვევაში აზრად ჰქონდა შემდეგი მოსაზრება:

უძრავ საეკლესიო უქმეების დღესასწაულობის დროს აუცილებლად საჭიროა ანგარიში გაეწიოს ეკლესიას, რომ არ მოხდეს ეკლესიის და მორწმუნე მოქალაქეთა ცხოვრებაში ერთგვარი გადატრიალება.

ურწმუნეთათვის საეკლესიო უქმეს საკითხი სამუშაო დღის, დასვენების საკითხია მხოლოდ და ამიტომ მას არა აქვს არავითარი პრინციპიალური მნიშვნელობა, უკეთუ თავისუფალი დღეების რაოდენობა უცვლელი დარჩება. მორწმუნეთათვის კი ეს მეტად საყურადღებო საკითხია, თუ როგორ უნდა აასრულონ მათ სარწმუნოების მიერ განწესებული პირობები.

სარწმუნოება თავისუფალ მოქალაქეთა კერძო საქმეა და ამისთვის სარწმუნოებრივი წესების და საეკლესიო დღესასწაულების უქმობის უფლება უნდა მიენიჭოს თვით ეკლესიას, როგორც მოქალაქეთა თავისუფალ საზოგადოებას. ამასთან სახელმწიფომ უნდა თვალყური ადევნოს, რომ ეკლესიამ არ დაარღვიოს საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესები და მასში დამყარებული უფლებრივი წეს-რიგი, ამ შემთხვევაში დღესასწაულთა რიცხვის გამოცვლით სახელმწიფოს სამოქალაქო ცხოვრების ცვლილება მხოლოთ იმაში იქნება. რომ პირველ მორიგს დღესასწაულს იუქმებენ 13 დღით გვიან, დანარჩენი უქმეები კი პირველს მოჰყვება ჩვეულებრივის წესით.

თუმცა რიცხვის გადაცვლით იქნება რამოდენიმეთ უხერხულობა, როგორაც მაგ. შობა იქნება ახალი-წლის შემდეგ 7 იანვარს, მაგრამ ეს უხერხულობა სერიოზული ხასიათის არ არის და მცხოვრებნიც მას შეეჩვევიან. ამის მაგალითს გვაძლევს რუმინია და ბულგარეთი, სადაც წელთა აღრიცხვა ახალი სტილითაა, მაგრამ ეკლესია უქმეებს ანგარიშობს ძველი (იულიანეს) სტილით.

ამნაირი მდგომარეობაა ავსტრო-უნგრეთის პროვინციებში, სადაც სახლობენ მართლ-მადიდებელნი ან ბერძენ-უნიატთა მცხოვრებნი: აღმოსავლეთ გალიციაში, ბუკოვინაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ უნგრეთში და ხორვატიაში, ბოსნიაში, ჰერცეგოვინაში და დალმაციაში. მართლ-მადიდებელთა და ბერძენ უნიატთა ეკლესია ძველი სტილით ანგარიშობს, თუმცა სახელმწიფოს დაკანონებული აქვს ახალი სტილი. დასახელებულ ადგილებში ახალი წესი არავითარ გაუგებრობას არ იწვევს და უნდა ვიგულისხმოთ, საქართველოში ეს რეფორმა ცხოვრებაში უმტკივნეულოთ ჩატარდება.

ზემო მოყვანილ მოსაზრებათა ძალით და რომ მთელმა მცხოვრებლებმა ერთნაირის წე-

სით იდღესასწაულონ უქმეები, ამ კანონ-პროექტს თან ახლავს კანონ-პროექტი, სადაც სისწორით ჩამოთვლილია დღესასწაულები ძველი სტილით იმის აღნიშვნით, თუ რომელი რიცხვი მათ ახალი სტილით ეთანხმებათ აღნიშნულ სიაში შედიან ყველა ის დღეები, როდესაც კანონის ძალით მუშაობა არ შეიძლება და იგივე კანონი შეიცავს რესპუბლიკაში მომქმედ შესაფერ მუხლებს სამრეწველოთ შრომის და კან. კრებ. ტ. 11 ნაწ. 2 მუხ. 198 და 8 საათის სამუშაო დღის დეკრეტს.

## მდგომარეობა ახალციხეში

ახალციხეში ვიმყოფები. ქართველ მუსულმანების სულიერი განწყობილება ძლიერ კარგია. დიდებითთად იხსენიებენ საქართველოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ხალხში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოთ ყველაფრის გაკეთება შეიძლება, თუ ეშმაკები არ შეუჩნდნენ კიდევ.

ჰაიდარ აბაშიძე.

## ინგლისური პრესის ცნობა.

(საქ. დეპ. სააგ.)

**მოკავშირეთადმი გემების გადაცემა.**

6 დეკემ. ოსმალეთმა სამხედრო გემები მოკავშირეთ გადასცა. გემენი, 4 გერმანული წყალქვეშა ნავი და რუსეთის შავი ზღვის ფლოტი მოკავშირეთა ხელში გადვიდა.

**რეკრუტის სისტემის გაუქმების შესახებ**

ენდში ჩერჩილმა სთქვა, რომ ბრიტანიის წარმომადგენელნი საზავო კონფერენციაზე მოითხოვენ მთელ ევროპაში რეკრუტის სისტემის გაუქმებას.

## გერმანული პრესის ცნობა.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

**ესტლანდიაში.**

გერმანიის რწმუნებული ესტლანდიაში იუწყება: 13 ნოემ. პროვინციის მართვა-გამგეობა ესტონელებს გადაეცა. რადგან ცნობაა მიღებული ბალტიის გერმანელთა საშიშ მდგომარეობის შესახებ, მე განკარგულება გავეცი მათი სიცოცხლის უზრუნველსაყოფად. ნარვის ფრონტზე სამხედრო მოქმედებამ და ვეზენდერგ-ლოგუზის ხაზზე გერმანიის ჯარების უკანდახევამ ახალი მდგომარეობა შექმნა. 30 ნოემ. 7 სამხედრო ერთეულისაგან შემდგარმა რუსის ფლოტმა ნარვის და მის მიდამოებს დიდი სროლა აუტეხა. ესტლანდიის მთავრობასთან შეთანხმება მოხდა. ესტლანდელნი მიიღებენ იარაღს და სხვა სამხედრო მასალას, აგრეთვე მილიონ ნახევარს ყოფილ მართველობის მიერ დარჩენილ ფონდიდან. ესტონელთა აზრით, ბოლშევიკების მხრით საშიშროება არ არის. ბალტიის მხრით გერმანელებს საშიშროება მოელის, თუ დარჩა ესტონიის მთავრობა და ბალშევიკურ მოძრაობას ხელი შეუშალეს. არმიის, დაბრუნების უზრუნველსაყოფათ, მე ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან და ქვეითი ჯარის მთავარ სარდლობასთან შეთანხმებით მივმართე მოხალისეთა ჯარის ორგანიზაციებს.

## ცნობა მოსკოვიდან.

(საქ. დეპ. სააგ.)

**ისლანდიის დამოუკიდებლობა.**

დანიასთან ხელშეკრულების თანახმათ ისლანდიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

**გერმანელთა საბჭოები რუსეთში.**

პეტროგრადიდან დანიის ელჩმა სტოკჰოლმში დეპეშა გაუგზავნა გერმანიის ელჩს, რომ მოსკოვიდან მოსულ ცნობის თანახმად გერმანიის მთავრობამ იცნო გერმანიის დეპუტატთა საბჭოები მოსკოვში და პეტროგრადში ავტონომიურ ორგანიზაციათ და გადასცა მას ყოველგვარი რწმუნებულება. დანიის მთავრობა უმატებს, რომ დეპუტატთა საბჭოების აღიარება დიდ მავნებლობას მოიტანს, რადგან დეპუტატთა საბჭოები რუსეთის საბჭოთა მთავრობის ზეგავლენის ქვეშ არიან.

## საქართველოს პარლამენტში

მე-69 კრება

(1918 წ. სამშაბათს, დეკემბრის 10 სხდომა)

**დღიური წესრიგი:**

1. კანონ-პროექტი — ძვირფას კულტურულ მამულებში პროდუქტების რეკვიზიციის შესახებ.

მომხსენებელია დ. ონიაშვილი.

2. კანონ-პროექტი—უქმე დღეების დაწესებისა.

მომხსენებელია თ. კიკვაძე.

## ქრონიკა

○ 12 დეკემბერს ქარ. სახ. წარ. მმართ. წრე მართავს ინტერნაციონალურ საღამოს სახელოვან „სახალხო გვარდიის დღის" აღსანიშნავად შემდეგის პროგრამით: 1) სიტყვა ალ. ლომთათიძისა, 2) „მსხვერპლის" პირველი მოქ., 3 და 4 სომხურ-რუსული წარმოდგენები.

○ კვირას, 15 დეკემბერს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება პირველი მოწაფეთა დილა ქართულ სამუსიკო სკოლისა. ბილეთები იყიდება კერერთან (გოლოვინის პრ. № 8) დასაწყისი დღის 12 საათზე.

○ რედაქციამ მიიღო ირ. წერეთლის „სიტყვები წარმოთქმული მეორე სახ. სათათბიროში, რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე და ამიერ-კავკასიის სეიმში".

პ. საყვარელიძის წიგნი—„წერილები სხვა და სხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებაზე." რესპუბლიკები (საფრანგეთში, ჩრ.-ამერიკის შ. შტატები, შვეიცარია). წიგნები სუფთადაა გამოცემული. ღირს პირველი 4 მ. მეორე—2 მან.

### განცხადებები

## საექიმო-სასანიტარო განყოფილება

**სთხოვს ექიმებს, ფერშლებს და მოწყალების დებს,**

ვისაც სურსთ იმუშაონ ეპიდემიებთან საბრძოლველ რაზმებში ადგილობრივ ან პროვინციაში-ერობებში, მობრძანდნენ განყოფილების ბინაზედ ალსანუსხავათ (ქსენიევის ქ. სახლის № 10). იქვე მიიღება ცნობები სამსახურის პირობების შესახებ. 3—1

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა იწვევს 20 ნოემბერს 1916 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, ერმალოზ ივანეს ძე ბაქრაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ბაქრაძის შემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ბაქრაძის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. I ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1106 3—1

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობა ილარიონ დავითის ძე და შალვა პავლეს ძე ბერიძეების მიერ მიცემული ივანე მიხეილის ძე კახიანზე, დამტკიცებული ჭიათურის ნოტარიუსის აბულაძის მიერ ამა წლის 11 წიფობისთვეს რეესტრის № 1747—28 წიფობისთვის ამა წლის დადგენილებით—გაუქმებულია. 1104 3-1

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამათლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა, იწვევს 26 მარტს 1910 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, არჩილ მამუკას ძე ლომიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულ ლომიძის ქონებაზე კანონ. კრებ. X ტ. 1 ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1103 3-1

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა იწვევს 9 ქრისტეშობისთვეს 1911 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. ბუნიკაურში, შორაპნის მაზრისა, იასონ, იგივე იოსებ, ბარამის ძე ბარათაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ბარათაშვილის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. I ნაწ. მე მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1105. 3—1

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა, იწვევს 20 ნოემბერს 1913 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, ბესარიონ მიქელას ძე ღუღუნიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულ ღუღუნიშვილის ქონებაზე, კან. კრებ. X ტ. I ნ მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1111 3—1

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა, იწვევს 13 ნოემბერს 1916 წ. გარდაცვალებულის. მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, კაცია გიორგის ძე ბაქრაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გადაცვალებულის ბაქრაძის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. 1 ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1108 3—1

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესებისა, იწვევს 1 ნოემბერს 1916 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, როსტომ ბეჟანის ძე ღუღუნიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ღუღუნიშვილის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. 1 ნ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1109. 3—1

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა, იწვევს 21 მარიამობისთვეს 1909 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა ნიკოლოზ გიორგის ძე ბაქრაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ბაქრაძის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. 1 ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1107 3—1

---

ქ. ტფილისის მე-3 სამოსამართლო უბნის სასამართლოს ბოქაული კ. პოტიომკოვსკი ამით აცხადებს, რომ ქრისტეშობისთვის 12-ს 1918 წელს დილის 10 საათზე ნადიროვის მამულში ქ. ტფილისში მე-9 უბანში დანიშნულია საჯარო გაყიდვა ვასილ აღნიაშვილის უძრავ ქონებისა, რომელიც შეიცავს: ერთ სართულიან ქვიტკირის სახლს პატარა თავლით. შეფასებულია 861 მანეთად და აღწერილია ბ. სურენ ნალბანდიანცის დასაკმაყოფილებლად თანახმად ტფილისის მე-3 განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის 24 ენკენისთვის 1918 წ. აღმასრულებელ ფურცლისა № 257—936 მანეთისთვის. 1139 1—1

---

ალექსანდრე ივანეს ძე ჩეკურაშვილი აცხადებს დროებითი მოწმობის დაკარგვას, რომელიც ჰქონდა მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსისგან 17 იანვარს 1918 წ. № 86657, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს 1127 3—3

---

დეკანოზი დავით უტარნოვი[illegible] აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი № 1586, მიღებული 21 ივლისს, 1914 წ. 1119 3—3

---

ვლადიმერ ისიდორეს ძე ავსიუკევიჩი აცხადებს, რომ მან სად. აჯი-ქაბულზე დაჰკარგა დოკუმენტები: ატესტატი ტფილისის მეორე უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში კურსის დამთავრებისა და მეტრიკა. 1111 3—3

---

ამერიკის ქვეშევრდომი, ხოსროვ გე-ხაჩატურიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 17755 მიცემული ვაშინგტონში. 1117 3—3

---

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 5 სოხუმის ოლქის სიმტკიცის საქმეთა ნუსხის მე-48 ნაწ. მე-1995 5 №-ით 79 გვ. აღნიშნულია ამა წლის ივლისის 10 გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი, სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც სოფიო ივანეს ასულს იმშენიკ-კონდრატოვიჩს დაუმტკიცდა მიწის ნაჭერი № 5 და 6, ზომით 480 ოთხკ. საჟ. ღირებული 240 მან. 378 3—3

---

ელისაბედ ლალაევის რწმუნებული ს. მარგულოვი აცხადებს, რომ დაიკარგა ტფილისის ნოტარიუს ა. მამიკონოვის 1887 წ. აქტის წიგნიდან ამონაწერი I ნ., 59 გვ., № 90, რომელიც აღნიშნულია ტფ. ოლქ. სასამ. უფროს ნოტარიუსის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში 1887 წ. სექტ. 16. ქ. ტფილისის პირველ განყოფილებაში, ნუსხის № 1103, ელისაბედ ლალაევის სახელზე მამულის გადასვლისა, თანახმად ანდერძისა, რომელიც სისრულეში მოსაყვანად დაამტკიცა ბაქოს ოლქის სასამართლომ 1913 წ. ოქტ. 8. 3—2

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა, იწვევს 4 მარიამობისთვეს 1915 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, სოლომონ მიქელას ძე ღუღუნიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ღუღუნიშვილის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. ნ. 1. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1110 3—2

---

ქ. ჭიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავრო წესდებისა, იწვევს 20 მარტს 1918 წ. გარდაცვალებულის, მცხოვრების სოფ. შუქრუთში, შორაპნის მაზრისა, ტასია ოტიას ასულის ტყემალაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ტყემალაძის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. 1 ნ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1112 3-2

---

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 5 სოხუმის ოლქის სიმტკიცის საქმეთა ნუსხის მე-48 ნაწ. 1996 №-ით, მე-100 გვ. აღნიშნულია 1917 წ. ოქტომბრის 5 გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც ათანას ივანეს ძე წერეს დაუმტკიცდა ქ. გუდაუთიდან მიწის ნაჭერი № 2, ზომით 280 ოთხკ. საჟ. ღირებული 70 მან. 375 3—3

## საქართველოს რესპუბლიკის ტფ. საგუბერნიო ბათალიონი

იწვევს იმ პირთ, რომლებსაც სურთ იჯარით აიღონ ბათალიონის ოფიცერთა და ჯარისკაცთათვის ხორცის და ქონის მიწოდება. ვაჭრობა დანიშნულია დეკემბრის 9-ს, დღის 1 საათზე, ბათალიონის კანცელარიაში, რომელიც მოთავსებულია კავკასიის ყოფილი მსროლელ პოლკის ყაზარმებში, მე-9 უბ., ანტონიევის ქ. ვისაც ვაჭრობა სურთ, უნდა შემოიტანონ განცხადებები კომანდირის სახელზე დაბეჭდილ პაკეტებში 5000 მან. საწინდარით დღის 12 საათამდე. კონვერტზე უნდა ეწეროს: „1918 წ. დეკემბრის 9 ვაჭრობისათვის". ვაჭრობა დაიწყება დღის 12 საათზე შემოტანილი განცხადებებით და საწინდრებით. ვაჭრობა გაუმეორებლათ. პირობების გაგება მსურველთ შეუძლიანთ ბათალიონის კანცელარიაში, ყოველ დღე, დილის 10—3 საათამდე.

2—2. 1127. ტფილისის გუბ. ბათალიონის უფროსი კაპიტანი კ ა ნ ა ნ ო ვ ი.

## ტფილისის ვაჭართა ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკის აქციონერთა არაჩვეულებრივი საზოგადო კრების 1917 წ. დეკემბრის 17 დადგენილების თანახმად და ფინანსთა მინისტრის ნებადართვით, ბანკი ადიდებს თავის თანხას **10.000.000 მანეთიდან 20.000.000 მანეთამდე.** ახალი აქციების გამოცემის საშუალებით: 40.000 აქცია თითო 250 მან. სულ 10.000.000 მან. დადებული ფასით. ახალი აქციები ორათ გამოიცემა: ნახევარი—20.000 აქცია გამოიცემა ეხლავე, მეორე ნახევარი კი მომავალ წელში, პირველის განაღდების შემდეგ. ამის გამო ბანკი ამჟამად იწყებს აქციების მესამე წყების გამოცემას, 20.000 ცალი აქცია თითო 250 მან. სულ 5.000.000 მან. დადებული ფასით. ეხლანდელ აქციებზე ხელის მოწერა შეიძლება ბანკის გამგეობაში, ტფილისში (ერევნის მოედანი, № 3), ბანკის განყოფილებაში: ბაქოში, განჯაში, ერევანში და აგრეთვე ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში; ქუთაისში, დაიწყება 5 დეკემბრიდან და გაგრძელდება დეკემბრის ბოლომდე; დაიხურება დეკემბრის 30 (ახალი სტილით), დღის 1 საათზე. ეხლანდელი აქციების მესამე გამოცემა მოხდება შემდეგ წესით: 1. აქციების გამოცემით ფასი 335 მანეთია თითეულზე, რომელიც ხელის მოწერის თანავე უნდა იქნეს შეტანილი; 2. აქციების განაღდებით შემოსულ 6.700.000 მანეთიდან: ა 5.000.000 მან. გადაიდება შესანახ თანხაში, რომელიც გადიდდება 15.000.000 მან. ბ. 1.500.000 მან. სათადარიგო თანხაში და გ. 200.000 მან. აქციების დასამზადებლად და მათი საღერბო გადასახადისათვის. 3. ახლად გამოცემულ აქციების შეძენაში უპირატესობა ეძლევა აქციების ისეთ პატრონებს, რომლებსაც პირველი და მეორე გამოცემის აქციები აქვს იმდენი, რომ თითეულ ახალ აქციაზე შეხვდეს ორი ძველი აქცია. 4. მესამე გამოცემის ახალი აქციები შედიან ბანკის 1919 წ. დივიდენდში და შემდეგაც ძველ აქციებთან თანასწორი. 5. აქციონერები ვალდებული არიან ხელის მოწერის დროს განცხადებასთან ერთად წარმოადგინონ თავისი ძველი აქციები, რათა ბანკმა შესაფერი შტემპელი დაასვას მას. 6. ის პირნი, რომლებიც 30 დეკემბ. 1 საათამდე არ წარმოადგენენ ასეთ განცხადებებს აქციებით ან დროებითი მოწმობებით, ან და ამ ვადისთვის არ შეიტანენ ახალ აქციების სრულ ფასს, ახალ გამოცემის აქციების შეძენის უფლებას ჰკარგავენ. 7. იმ აქციონერთა დაკმაყოფილების შემდეგ, რომლებიც მოისურვებენ აქციების მიღებას ისეთ ანგარიშით, რომ ყოველ ორ ძველ აქციაზე მიიღონ ერთი ახალი აქცია, თუ ამის შემდეგ დარჩა ახალი გაურჩეველი აქციები, ისინი განაწილებული იქნება ძველ აქციების მეპატრონეთა შორის, რომლებმაც ხელის მოწერის დროს, უნდა შემოიტანონ ბანკის სახელზე განსაკუთრებული განცხადება, რომ მათ სურთ მიიღონ აქციების განსაზღვრული რიცხვი. თუ ასეთ განსაკუთრებულ განცხადებებს არ შემოიტანენ აქციონერები, კარგავენ უფლებას მონაწილეობა მიიღონ დარჩენილ აქციათა განაწილებაში. თუ მთხოვნელთა რიცხვი მეტი იქნა დარჩენილ აქციათა რიცხვზე, აქციები განაწილდება წარმოდგენილი ძველი აქციების რაოდენობის მიხედვით. 8. ფულის შემომტან აქციონერებს მიეცემათ ბანკიდან სათანადო დროებითი მოწმობები, რომლებიც აქციების დამზადების შემდეგ აქციებით იქნება შეცვლილი. დანარჩენ 20.000 აქციათა გამოცემის ვადა და პირობები ცალკე იქნება გამოცხადებული. 1091 3-3